საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ბრძანება № 54

თბილისი „01“ 08 2018წ.

**„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 24 ივლისის N25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 31 ივლისის N966405 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 24 ივლისის N25 ბრძანებაში და ბრძანების დანართით განსაზღვრულ, „სახელმწიფო ენის“ საგნობრივ ჯგუფში შემავალ „ქართული ენისა და ლიტერატურის“ საგნის II-IV კლასების სახელმძღვანელოს დასახელება ნაცვლად „ქართული ენის კვალზე“ განისაზღვროს დასახელებით - „ქართული“ და დანართის აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ენა | ქართული ენა და ლიტერატურა | სავალდებულო | II-IV | ქართული | შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" (ს/კ 204931164) | ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე | მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული | ქართული | ქართულენოვანი | 153 | — |

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის მოადგილე